



ადამ კოტორაშვილი

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC)/ლუგარის ცენტრი

Adam Kotorashvili

Head of Genome Center, National Center for Disease Control and Public Health,

ადამ კოტორაშვილმა 1998 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიოლოგიის/ქიმიის სპეციალობით. 1997 წ. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იყო ბრესტის რეგიონალური უნივერსიტეტის სტუდენტი (Laboratoire d'immunology, centre Hospitalier Regional et Universitaire, ბრესტი, საფრანგეთ). 2000-2004 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დოქტორანტია. 2004 წ. - დოქტორის ხარისხი ბიოქიმიურ ნეიროფარმაკოლოგიაში. ამავე დროს დოქტორი კოტორაშვილი, როგორც მკვლევარი მეცნიერი, მუშაობდა ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, ნერვული სისტემისათვის სპეციფიური ცილების MARKS, APP და CAMKII დახასიათებასა და დასწავლისა და მეხსიერების ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესებზე.

2004 წ. დოქტორი კოტორაშვილი სამუშაოდ გადავიდა პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰერშის სამედიცინო ცენტრში (აშშ). 2006-2009 წწ. მუშაობდა პენსილვანიის უნივერსიტეტის მედიცინის დეპარტამენტში (ფილადელფია, პენსილვანია), ფილტვის ცილების SP-C და ABCA3-ის მოძრაობასა და პოსტტრანსლაციური მოდიფიკაციების მოლეკულური მექანიზმების შესწავლაზე. 2010 წლიდან დოქტორი კოტორაშვილი შეუერთდა ნიუ-იორკის იეშივას უნივერსიტეტის აინშტაინის სამედიცინო კოლეჯს, სადაც მისი მთავარი კვლევის თემა იყო რნმ-ის ექსპრესიის პროფილები მკერდის კიბოთი დაავადებულ პაციენტებში.

2012 წელს მან მიიღო შეთავაზება საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით. იგი დაინიშნა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის გენომის ცენტრის ხელმძღვანელად და დღემდე ხელმძღვანელობს მას.

2016 წლიდან დოქტორი კოტორაშვილი უძღვება ლექციათა კურსს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ის არის 20-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი.

Dr. Adam Kotorashvili graduated from Tbilisi State University in 1998 with a Diploma in Biology/Chemistry. In 1997 under the exchange program he was student of regional University of Brest (Laboratoire d'immunology, centre Hospitalier Regional et Universitaire, Brest France). From 1998 to 2000 he worked in David Agmashenebeli private school as a teacher of Biology and Chemistry. From 2000 to 2004 he was a PhD student at the Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Science Tbilisi, Georgia. He got PhD degree in Biochemical Neuropharmacology in 2004. At the same time he was working at Beritashvili Institute of Physiology as Research Scientist studying proteins MARKS, APP and CAMKII in the nervous system as well as the process of formation and functionality of learning and memory - Imprinting.

In 2004 Dr. Kotorashvili got position of post doctoral fellow at Hershey Medical Center of Penn State University and moved in United States of America. From 2006 to 2009 he worked as a project leader at the Department of Medicine of University of Pennsylvania. Work primarily was focused on the study of the trafficking and posttranslational molecular processing of surfactant protein C (SP-C) and ABCA3 as well as molecular, cellular, and functional analyses of mutant SP-C and ABCA3 forms that are associated with interstitial lung disease (ILD).

From 2010 he joined to Einstein College of Medicine of Yeshiva University of New York on the position of research associate. At Einstein College of Medicine his main research topic was RNA expression profiling in breast cancer patients.

In 2012 he got offer to come back to Georgia. He was appointed as a Head of Genome Center at Lugar Center of National Center for Disease Control and Public Health of Georgia.

From 2016 Dr. Kotorashvili leads a few courses at the Ilia State University, Tbilisi, Georgia. He is an author of more than 20 scientific publications.